# თეატრი და ცხოვრება

სათეატრო სალიტერ. ჟურნალი

1917 წ. № 44—კვირა, ქრისტეშობისთვის 10 ფასი 35 კაპ, წელიწადი მეხუთე გამოცემისა


## მიიღება 1918 წ. ხელის მოწერა







გ. ლასხიშვილი
თავმჯდ. ამხანაგი

**ნოე ჟორდანია**
ერთიანულ ყრილობის თავმჯდომარე

აკაკი ჩხენკელი
თავმჯდ, ამხანაგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრწყინვალე დღეები

ამიერიდან საქართველოში პრივილეგიური წოდება აღარ არსებობს.

ამიერიდან ქართველი ერი იურიდიულად შეიქმნა ერთი მთლიანი და ეს იქნება მერმისის საფუძველი.

ნოე ჟორდანია.

მოხდა ის, რასაც მთელი ჩვენი სიცოცხლე შევნატროდით და ჩვენთან ერთად ყოველი შეგნებული მამულიშვილი დემოკრატი შენატროდა,—

ქართველი პოლიტიკური პარტიები ეროვნულ საკითხში გაერთიანდენ.

სულიერად დაქსაქსული ქართველი ხალხი გაერთსულოვანდა და შეიქმნა ერთი ქართველი ერი,

ამ დიდებული საქმის მესვეურობა ჰხვდა ჩვენს ინტერპარტიულ საბჭოს და სოც.-დემ. სწორუპოვარ ბელადს, მდაბიო ხალხის საბედნიერო ბრძოლაში გაქალარავებულს ნოე ჟორდანიას, რომელმაც ამიერიდან თვისი სახელი და ამაგი სამშობლოს წინაშე კიდევ უფრო განაბრწყინა.

ამიტომაც იყო, რომ სოციალდემოკრატ—ავტონომისტების „ალიონელთა“ მხრით ნიკ. ქარცივაძემ ისე სხარტულად გამოჰხატა: თუ დღემდე ნოე ჟორდანია ქართველი დემოკრატიის ბელადი იყო, დღეიდან იგი ქართველი ერის ბელადი ხდება.

ოლონდაც, ოლონდაც!

ღვინობისთვის 16—23 ჩვენი ალორ ინების ისტორიაში მზიურ ასოებით აღიბეჭდება.

ამ დღეებში გამოითქვა ქართველი დემოკრატიის გულის ნადები და მით ქართველი ერი აღსდგა, გამთელდა, ორჰოფ მდგომარეობიდან გამოვ-და, გარკვეულ გზას დაადგა ერის საბედნიეროდ.

აფრიალდა საქართველოს ეროვნული დროშა!

გამოითქვა მრავალი საუცხოვო სურვილი, დადგენილ იქმნა ბევრი აუცილებელი გადაწყვეტილება, ნოე ჟორდანიას სიტყვით რომ ვსთქვათ, ამ ეროვნულმა ყრილობამ ეროვნულ საბჭოს მისცა ხარტია, მაგრამ სიტყვა თვინიერ საქმისა მკვდარ არს!

გულში ამოჭრილის საქმით განხორციელება ისე არაოდეს არ დაგვჭირვებია, როგორც დღეს. ამიტომ საქმეს ხელი!

ამიერიდან საქართველო საკუთარ ფეხზე შესდგა,—ამიერიდან თავს ჩვენვე უნდა მოუაროთ.

საქართველოს სოფლის მშრომელო, ძალ-ღონე გაიორკეცე: დღეის შემდეგ უფრო სიყვარულით და ერთგულად მოეპყარ შენს მიწა-მამულს: ანაყოფიერე შენსავე საბედნიროდ!

ქართველო მუშავ!

ჩვენი დემოკრატიის გამარჯვებასა და სამშოლოს აღდგენაში შენ დიდი ღვაწლი მიგიძღვის, ეცადე დღეის შემდეგ კიდევ უფრო მეტის სიფხიზლით და სიბეჯითით მოუარო თავსა და მამულს.

ქართველო ვაჭარ-მრეწველო, ასპარეზი დიდი გაქვს: გაბედვით შეუდექი საქმეს: აამუშავე ქარხნები ქსოვილების, შაქრის, ქაღალდის, ლითონეულის და სხ.

ამ მხრით უხვი და მდიდარია შენი სამშობლო.

ქართველო ინჟინერო და ხუროთმოძღვარო! ჩქარა შეუდეგ სამშობლოს მთა-გორათა შორის და ველ-მ-ნდვრებზე გზების და წყალსადენების გაყვანას. მორწყე და მორთე ქვეყანა.

ქართველო მეურნევ! მოუარე ბუნებით ყოველმხრივ შემკულ შენს ქვეყანას.

ქართველო ხელოვნო! დღემდე თუმცა ბევრი დაბრკოლება გეღობებოდა წინ, მაინც მტკიცედ ემსახურებოდი მშობელი ერის გათვიცნობიერებას როგორც მოქალაქე და როგორც ხელოვანი. დღეის შემდეგ ბორკილები ველარ შესწურთავს შენის სულის შემოქმედებას კვლავ მოქალაქე იყავ და ჭეშმარიტი ხელოვანი.

ქართველო მოზარდო თაობავ, ბედნიერი ხანის შვილო! ასპარეზი შენი ფართო და დიდია, შენს მამულში სამკალი ფრიად დიდია მომმკალი კი მცირედ—იშრომე, ალაყვავე ჯერ კიდევ გაბეჩხარებული სამშობლო შენი.

ქართველო ექიმო! სოფელი სიბინძურესა და სენშია,—მოუარე.

ქართველო ქალო! განცხოველდი და იცან თავი შენი: ჩვენი მომავალი შენს ხელთაა.

სულის მამანო! აერიდენით გზასა უკუღმართსა, სულიერად ემკურნალეთ ერსა!

განიხარე ქართველო, სადაც უნდა იყო; დღეიდან შენი სამშობლო სდგება და მის წინაშე დიდი და მუდმივი ზრუნვა გაწევს: მხნე იყავ და განძლიერდი!

იოსებ იმედაშვილი

## შურისძიება

მათხოვდი.. . და თუ სხვამ გაგათხოვა
ეს სულ ერთია—აღარ ხარ ჩემი
და დამიმტკიცე, რომ ქალთა ხროვა
მართლაც ფლიდია... მზირი... გამცემი...

—

და, დღეს, როს, ბაღში მკლავგადაჭდობილს,
შეგხვდი შენს ქმართან ხელში იებით:
აღარ მოგეცი სალამი დობილს
და ჩაგიარე შურისძიებით.

სამაჰმადიანო                    საქართველო



მამედ ბეგ აბაშიძე
ეროვნულ საბჭოს აღმასრულებელ





ჰაიდარ ბეგ აბაშიძე
კომიტეტის წევრებად არჩეული

მოლა ისქანდერ ეფენდი ციბაძე
ეროვნულ ყრილობას შესანიშნავი სიტყვით მიესალმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ეროვნულ ყრილობაზე

გიორგობისთვის 19—24

პირველი დღე. ხალხით გაჭედილ დარბაზს ამშვენებდენ სხვა და სხვ. სახემწიფოთა და კეთილშობილ მეზობელ ერთა წარმომადგენელნი. ყრილობამ მოისმინა ამიერ კავკასიის კომისარიატის და სოციალდემოკრატიულ პარტიის დამსახურებულ მოღვაწე-დეპუტატის აკაკი ჩხენკელის მაღალ-სახემწიფოებრივ სიტყვა, რომელმ. ყველა მეზობელ ერთა და გარეშე სახემწიფოებს შესაფერი სალამი მიუძღვნა და, სხ. შორის, თქვა; ამ ყრილობის შემდეგ მოწვეულ იქნება საქართველოს დამფუძნებელი კრება და საქართველომ უნდა მოიპოვოს თვითმართველობა საკუთარი კანონმდებლობით. არჩეულ იქმნა პრეზიდიუმი თავმჯდომარედ ნოე ჟორდანია, რომლის არჩევანს ერთსულოვანი ხანხრძლივი ვაშა-ტაშით და ფეხზე ადგომით შეხვდენ.

წუთი იყო დიდებული!

მეზობელთა და უცხოთა მოლოცვებმა მოლოდინს გადააჭარბა.

ყველა მათგანმა აღიარა საქართველოს აღდგენა—თავისუფლება. „კეკლუცო, მშვენიერი, რაინდი საქართველო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა! ამიერ კავკასიის ერთა მესვეური კეთილშობილი საქართველო.“

საყურადღებო იყო პოლონელთა, უკრაინელთა, ქართველ მაჰმადიანთა წარმომადგენლის მამედ ბეგ აბაშიძის, სომეხთა ეროვნულ საბჭოს წევრის ბეკზადიანის, მუსულმანთა აფხაზთა, დაშნაკელთა და სხ. სიტყვები.

აი რა სიტყვებით ამკობდენ ჩვენს სამშობლოს.— დასასრულ ყრილობამ ფეხზე ადგომით მოისმინა კათოლიკოს კირიონ მეორის გუჯარი, წაკითხული დეკ ნ. თალაკვაძის მიერ. თვით კათალიკოსიც მიტროპოლიტებითურ ამ დღეს ყრილობაზე ბრძანდებოდა.

მეორე დღე ხომ არ თქმული, მოულოდნელი მრავალმეტყველი დღე იყო. ამ დღეს ქართველი ერის წინაშე წარსდგა ჩვენი ხალხის ბელადი ნოე ჟორდანია, რომელმაც ფრიად დასაბუთებული, ღრმად მოაზრებული მოხსენება წარუდგინა ყრილობას. თვის მოხსენებაში სოციალდემოკრატიის ბელადმა, სხვათა შორის, სთქვა:

თუ რუსეთში არ შესდგა დამფუძნებელი კრება მაშინ იძულებული ვიქნებით ადგილობრივი დამფუძნებელი კრება მოვიწვიოთ და ჩვენს თავს მივცეთ კონსტიტუცია... დაგვიანება არ გვარგია... ქართულ ინტერპარტიულ საბჭოში შევთანხმდით რომ საქართველოს მიენიჭოს შინაგანი დამოუკიდებელი თვითმართველობა, იმ უფლებით, რომ გამოსცეს კანონები. ჩვენ უნდა გვქონდეს ჩვენი ეროვნული ადმინისტრაცია. თუ რუსეთში იარსებებს რუსული ჯარი, მაშინ საქართველოში უნდა არსებობდეს ქართული ჯარი. ჩვენ უნდა გვქონდეს ჩვენი ეროვნული სასამართლო, ჩვენ უნდა მოვასთაოთ ცხოვრების ყოველივე დარგის გაეროვნება.. და სხ.

ეს მოხსენება ყველა პარტიამ გაიზიარა.

გრ. რცხილაძე (სოც. ფედ.)—დღევანდელი დღე თავდებია საქართველოს გაერთიანებისა და მისი პოლიტიკური იდეალების განხორციელებისა.

გიორ. ნათაძე (სოც.-რევ.)—ასჩვიდმეტი წლის განმავლობაში დღემდე საქართველო არ არსებობდა. საქართველო დღეს იწყებს არსებობას.

ნიკ. ქარცივაძე (სოც.-დემ.-ავტონომისტი ალიონელი)—გამოიძებნა ძლიერი ენა, რომელმაც გააერთიანა ქართველი დემოკრატია.

გიორ. გვაზავა (ეროვ.-დემ.)—ეროვნულ-დემოკრატიული პარტია თავიდანვე იდგა ქართველი ერის მთლიანობის ნიადაგზე. დღეს ეს ლტოლვილება განხორციელდა.

გრიგოლ გიორგაძე (სოციალ-დემოკრატი მენშევიკი, დეპუტატი) —დადგა დრო, როდესაც სოციალ—დემოკრატიამ უნდა წამოაყენოს და გადასჭრას კანონიერად ეროვნული საკითხი. დამფუძნებელ კრებიდან ჩვენ ნამდვილი პოლიტიური თვითმართველობით ანუ ავტონომიით დავბრუნდებით.

ყველა ზემორე თქმულს დარბაზი მხურვალე რთხმივი ვაშა-ტაშით ეგებებოდა.

შემდეგ არჩეული იქმნა ათი სექცია.

მესამე დღე თავადაზნაურობის წოდებრივი სიკვდილისა და სულიერი დიდების დღე იყო. ამ დღეს ჭეშმარიტმა, დარბაისელმა მამულიშვილმა თ. კ. ნ. აფხაზმა თვისი საქმიანი მოხსენებით დამსწრეთ გააცნო, თითქმის სამოცი წლის განმავლობაში თავადაზნაურობას რა საზგადო დოვლათი შეუკრებია და დღეიდან ეს დოვლათი — ბანკი, გიმნაზია, კახეთის რკინის გზა, ბაქოში სანავთე ადგილები, დიდი სახლი სასახლის ქუჩაზე, საუნივერსიტეტო მიწა, საელექტრონო სადგური და სხ. თითქმის სამოც მილიონ მანათის ღირებული ქართველი ერს მიართვა ძღვნად.

ასეთივე განცხადებით წარუდგა ყრილობას ქუთაისის თავადაზნაურთ წინამძღოლი თ. დ. ო. ნიჟარაძე.

ყრილობამ მადლობა მოახსენა და მთელი წოდება ჩარიცხა თავისუფალ საქართველოს სრულ უფლებიან თანასწორ მოქალაქედ.

დიდი აღტაცება გამოიწვია აჭარელ მოლის ისკანდერ ეფენდი ცივაძის სიტყვამაც.

მეოთხე დღეს ყრილობამ ერთხმად დაამტკიცა არჩეულ სექციათა-მიერ შემუშავებული რეზოლიუციები (სხვათა შორის ხელოვნების შესახებაც). შემდეგ ყრილობას მიესალმენ მუსულმანთა მხრით მარდანბეგ თოფჩიბაშევი, სომეხ ხალხის — მგოს. ო. თუმანიანი, საქართველოს სომეხთა — ვერმიშევი, ქართველ ისრაელთა — ჟურნალისტი ი. ხანანაშვილი და სხ. არტურ ლეისტის მემკვიდრეემა ეროვნულ საბჭოს შესწირეს: სააგარაკო ადგილი კოჯორში 10000 მან. ქართველ ბავშებისთვის სანატორიუმის ასაგებად და ყოველ წლიურად 3000 მან. ყრილობა დასრულდა ეროვნულ საბჭოს არჩევით და ნ. ჟორდანიას განცხადებით: ამ ყრილობამ დაამტკიცა, რომ ჩვენი ერი არის ერთი მთლიანი ერთეულით.

მაგრამ საქრთველოს ამით ჯერ კიდევ თვისი საბოლაო სიტყვა არ უთქვამს ამ სიტყვის თქმა ევალება საქართველოს დამფუძნებელ კრებას, საყოველთაო, თანასწორი, საიდუმლო და პირდაპირის ხმით არჩეულს, რომლის მოწვევაც დაევალა ამ დღეებში არჩეულ საქართველოს ეროვნულ საბჭოს.

იოსებ არიმათიელი



თავ. კ. ნ. აფხაზი



თავ. დ. ო. ნიჟარაძე

ამერ იმერეთის თავადაზნაურთა წინამძღოლნი, რომელთაც საზოგადო ქონება ეროვნულ ყრილობას გადასცეს

## თეატრი და ცხოვრება

მოხსენება „თეატრი და ცხოვრების“ საღამოსთვის 1917 წ. ოქტომბრის 9 ქ. თბილისს.

დასასრული. იხ. „თ და ც“ № 43

საზოგადოთ ხომ ჩვენ ქართველები დიდი ეფექტის ხალხი ვართ. გვიყვარს მაგარ-მაგარი სიტყვები, მაღალ ფარდოვანი ფრაზები, ზე-აწეული კილო იქაც, სადაც ამას საჭიროება არ მოითხოვს. ვის არ ახსოვს და ვინ არ იცის ჩვენი იუბილეები, პანაშვიდები, დასაფლავებანი და საზოგადო კრებები თვით ნორმალურ დროს. მოჭირებული ფერადები სიტყვაში და საქციელში, უფრო ადის ფერი და წითელი ფერი მოქმედებასა და დაპარაკში.

უთუოთ მშვენიერად შეისწავლა რუსის ჭკვიანმა მოხელემ, მაშინდელმა ვორონცოვმა, ქართველების ესეთი თვისება თეატრალობისა და მიტომაც დაგვიარსა იგი. მხოლოდ ერთი ვერ გასჭვრიტა. იმიტომ რომ როგორც ბევრს სხვას მაშინ და როგორც ეხლაც ზოგან ევროპაში თეატრი ვორონცოვისთანა კაცებს მხოლოდ გასართობ რამედ მიაჩნდა და ეგონათ ამ გართობას სხვა ზიზილ-პიპილებთან ერთად ქართული ესტეტიური სული თან გადაყვება და სრულიად გაქრებაო, მაგრამ საბედნიეროთ ჩვენ ეხლა სულ სხვა სურათს ვხედავთ.

მართალია ქართული თეატრი უპადრუკათ მიახარებს თვის ცხოვრებას, მაგრამ ერთი კი უტყუარია, რომ ქართველობის თვით შეგნებას დიდათ ემსახურა ჩვენი მელპომენის ტაძარი, გააღრმავა და ფესვი გაუდგა ქართული ენის სიყვარულს, ქართულ, მამულიშვილურ გრძნობას. ეს იმისთანა დამსახურებაა, რომელსაც ხელს ვერავინ გადააფარებს და რომელიც სხვაგვარივ მოუწყობელ ჩვენ სცენის ტაძარს ბევრს რამეს აპატიებს.

ეს ვერ გასჭვრიტეს ჩვენი კულტურის მტრებმა იმიტომ რომ, როგორც ვთქვი, ყალბი წარმოდგენა ჰქონდათ თეატრზე, რომ თვით თეატრს აქვს, თავით თვისით, ისეთი თვისებანი, რომლებიც მხოლოდ გართობამდე არასოდეს არ ქვეითდება.

— თეატრი ტაძარიაო, იტყვიან ზოგიერთნი
— თეატრი სარკე არისო, უმატებენ მეორენი.
და — თეატრი სკოლა არისო, დასძენენ სხვანი.

სწორედ.

თეატრი ეს სამივეა ერთად შედუღებული და იმიტომ არის მისი მომხიბლელობა ეგრე საოცარი.

ერთხელ მითქვამს — თეატრი ის ტაძარია, სადაც ყველანი უნდა ადავლენდენ ლოცვას თავის ღმერთებთან მეთქი, თეატრი ის სარკეა, სადაც ყველა გამოჩნდება, თეატრი ის სკოლაა, სადაც ყველა გაიწრთვნება მეთქი და არც ეხლა მიმაქვს უკან ეს სიტყვები, რადგან, ჩემის ფიქრით სწორეთ ამაში მდგომარეობს თეატრის სიდიადე.

თეატრი ყველა დასახელებულ საგანთა თვისებას თავის თავში იკრებს, მხოლოდ განსაკუთრებით რომელიმე მათგანს არას ჰგავს ის სულ სხვა, ცალკე მდგომი, თავისთავადი მონუმენტია. ხოლო ღონის ძიებანიც საარაკო აქვ: კვლავ შემკრებელობითი. მწერალი დასწერს, მამასადამე უწინარეს ყოვლისა მწერლობა მონაწილეობს თეატრის საქმეში, მხატვარი დახატავს, მოქანდაკე ჩამოძერწავს, მროკველი იცეკვავეს, მომღერალი იგალობებს, მსახიობი იმეტყველებს და აი ყველას თავის მომურელი თეატრი გვიდინებათ უცხო სახეთ: ხან გამომსახველათ ამ ცხოვრებისა, რაც არსებობს, რაიც ყოფილა, ხან იმავ ცხოვრების მომავალში შესაძლებლობისა.

და აქვს თეატრს თავისი მანერა შემოქმედობითი.

ის არა ჰგავს არც ერთს ხელოვნების დარგს ცალ ცალკე.

აქაც თეატრი დამოუკიდებელია და თავისთავადი. თუ მწერალმა პიესა მეტის მეტად ბელეტრისტიულათ შეთხზა, თეატრი ამ პიესას ვერ იგუებს; თუ მხატვარმა, დეკორატორმა სულ თავის შემოქმედებას დაუმორჩილა სცენა და მისი ღონის ძიებანი, აქაც თეატრი დაამარცხებს მხატვარს; თუ თვით მსახიობმა, მეუფემ და მბრძანებელმა სცენისამ მოინდომა სრული თვითმპყრობელობა, მაინც თეატრი რევოლუციას მოახდენს და ტახტიდან ჩამოაგდებს თვითმპყრობელს. ერთი სიტყვით თეატრი ის ზღაპარული რაშია, რომელიც არავის მხედარს არ იკარებს.

მას თავისი სავალი გზა აქვს. თვით „მირბის, მიაფრენს“

ამიტომაც ჰგონია ზოგს მისი სრბოლა ეგრე „უგზო უკლო“

მხოლოდ შეგნება უნდა მას სავალ გზას, მიხვედრა. მიხვედრა უნდა მას, თეატრი თავის თავა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ხელოვნებას, თავის განსაკუთრებულ კანონების და წესების მქონი და მაშინ ყოველივე ნათელი იქნება.

უმთავრესი დამახასიათებელი, ანუ მთავარი კანონი თეატრისა კი მოქმედებაა, სცენაზე მოძრაობა უნდა იყოს, სიცოცხლე, მოქმედების გამჟღავნება საქციელში, სიტყვაში და სულიერ განცდაში. უნდა მოგეხსენებოდესთ, რომ როგორც საქციელს შესდგამს მოქმედება, ესე გსთქვათ დინამიკა, აგრეთვე ახლავს სიტყვასაც, სულიერ განცდასაც როგორც საქციელი შეიძლება დუნე იყვეს, მოშვებული აგრეთვე სიტყვაშიაც და სულიერ განცდაშიც. თეატრს კი ყოველთვის პირველი ურჩევნია.

მაშასადამე თეატრს ის პიესა ურჩევნია, რომელშიაც ბევრი მოძრაობაა, სიცოცხლე, მოქმედება, აქედან იმ გვარი ხალხის ყოფა-ცხოვრების აღწერ რომელიც ზემოხსენებულ თვისებებით არის აღჭურვილი. მაშასადამე ისეთი ხალხის, ერის, სახელმწიფოსი თუ პიროვნებათა, რომელნიც ინტენსიურად სცხოვრებენ; კი არა კვდებიან სულიერ მისტიურ ბუნდოვანებაში, არამედ მიისწრაფიან მუდმივი პროგრესისა და წინ-სვლისაკენ, მზის ოქროს სხივებით არიან გაშუქებულნი და ისინიც სიცილით ზათქით ეგებებიან ამ მზესა.

ამიტომაც არის ჩეხოვის პიესებმა ფეხი ვერ მოიკიდეს ვერსად სხვა სცენაზე გარდა სამხატვრო თეატრისა, სადაც თვით ამ თეატრის განთქმულმა რეჟისორებმა ჩაჰბერეს თეატრალური, მოქმედებითი სული. და ამიტომაც, რომ მაგ. შედარებით მდარე დრამატურგი საფრანგეთისა ვიქტორიენ სარდუ დღეს აქამომდე მთელი ქვეყნის სცენაზე მეუფობს ად გამოუსუმებელია.

ამ გვარად თეატრი მოქმედებისა, სიტყვაში, საქციელში და სულიერ განცდაში საჭიროა ცხოვრებისათვის, როგორც ენტუზიაზმის მომგვრელი, აღმაფრთოვანებელი ხალხისა ერთის მხრით და მეორეს მხრით მშვენიერების შემყვარებელი, სულიერად განმაფაქიზებელი და ზე-ამყვანი.

ასეთი თეატრი წინ უძღვის ცხოვრებას და არის მისი მართლაც და მანათობელი ვარსკვლავი აი უმთავრესად დანიშნულება თეატრისა.

თავით ცხოვრება კი უნდა იყვეს თვით თვისით ხალისიანი, მმოძრავი, შემოქმედი, წინ-მსვლელი, რომ საუკეთესო მასალა მისცეს თეატრს შესაქმნელად.

ხოლო ერთის მხრით არაფერი გასაკვირიც უკეთუ აქამომდე ჩვენი პიესებიც, რაც კი გაგვაჩნდა ჩვენ ღარიბ რეპერტუარში, ნაღვლის მომგვრელი, სევდიანი და მოდუნებული იყო, რადგან თვით ცხოვრება იყო ესეთი ღრუბლიანი და გაუხარელი. ამიერიდგანდა ნურც იქნება ესე.

იყოს ჩვენი ცხოვრება ინტენსიური, რთული და მრავალ-ფეროვანი, წინ მსვლელი და საუკეთესო ჰუმანიურ აზრთა განმახორციელებელი.

მაშინ თეატრიც გადახალისდება და მოგაგებსთ ტურფა სურათებით საქართველოს. თვალწინ გადაგიშლით თქვენს საუცხოვოდ მოწყობილ ყოფა-ცხოვრება და კიდევ წინ გაკიწევთ მისი ოცნებით, მისი ფანტაზიით უკეთესის მერმისისაკენ.

მაშინ ორივენი-თეატრიც ღირსეულად აასრულებს მის დანიშნულებას ცხოვრებაში და ცხოვრებაც თვით თეატრის არსებობაში.

ხოლო რომ ყოველივე ეს იქმნეს ერთხელ კიდევ ვისურვოთ რომ,

გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!

შალვა დადიანი



## ქუჩაში

1

ის მიდიოდა...
ჰშიოდა...
გული ეწოდა,
სტკიოდა;
ხალხის ფარულად,
მალულად,
ცხარე ცრემლები სდიოდა.

2

დიდხანს ეწვალნა, საბრალოს,
სიცოცხლე მოჰბეზრებოდა;
თავი მოეკლა, უდროოდ
ქვეყანას განშორებოდა...

## სოლომონ მეფის საფლავზე ტრაპიზონში

ვნახე საფლავი, ობოლ ეული,
განმარტოებით ზედ ლოდ მდებარე
დიდხანს ვიდექი შავი ფიქრებით
გარემოცული მის წინ მდუმარე.
ვაშა! შენს სახელს, რომ ამ საფლავით
მნახველ ქართველებს უტოკებ გულსა.
სდუმხარ მეტყველი, მაგრამ დუმილით
გვესაუბრები, გვიხსნი წარსულსა:
შენმა საფლავმა ბევრიმ მითხრა
ჩემის მამულის მწარე წარსულზე,
და მ თი წყლული ვიგრძენი კიდეც
და რაღაც სევდა დამაწვა გულზე.
მაგრამ ამავ დროს დევგმირი გავხდი
და ამიტოკდა მკერდში სხვა გული;
თითქოს ზენარმა, ამ შთაგონებით
ძველი ქართველის შთამბერა სული,
და ვთქვი: ჰე, გმირო მამულიშვილო,
თავისუფლების მარად მოყვარე,
ვერაგ მოყვრისგან გამოდევნილო,
უცხოეთში რო ჰპოვე სამარე,
დადგება ჟამი, აღსდგეს სამშობლო,
შენის მცნებითა განმტკიცებული,—
მოვა, გახარებს აღსდგომ ერი,
და შენც აღსდგები განახლებული!...

დ. ჯანჯათელი



ლევ ტოლსტოი გარდ. 7 წლის შესრულ. გამო-



კომპოზ. ანდრია ყარაშვილი
ოპერა „ვეფხის ტყაოსანი“-ს ავტორი, მისი ნაწარმოებნი შესრულებულ იქნება მომღერალ-მუსიკოსთა კავშირი მიერ გამართულ საღამოზე 17 ქრისტ. ქართულ კლუბში.

# მეორედ მოსვლა

(გაგრძელება იხ. „თ. და ც." № 42)

## მოქმედება მეორე:

(სცენა პირველ მოქმედებისა. ლუარსაბი გაჯაჯგრებული ზის და თამბაქოს წევს, ალექსა ოთახს ალაგებს.)

დუარ. ბიჭო, შენ აკი არ დგებოდი, ჰა?

ალექ. გეღვიფიქრე ბატონო, ოხ, უკაცრავად გრაფდანინ ლუარსაბ! სხვა რომ არა იყოს რა, თქვენს ხელში გაზდილი ვარ და ულცხო რომ ყოფილიყავით, ისოცხლე გაგყვლიფავდი, მაგრამ ისევ ჩვენი ხარ, ბატონო, და მასთან ერთად, როგორც ვუკვირდები, შემოსავალიც შემოგაკლდათ, ხარჯი კი დიდი გქონიათ. ამიტომ შემეცოდეთ და ზაზასტოვკას თავი დავანებე. ისევ სჯობია შინაურულად მოვრიგდეთ.

დუარ. აი ვიდი, რას მოესწრო ჩემი ქალარა: ლაქიასაც კი ვებრალები! კიდევ კარგი შვილო ქრისტიანობის გრძნობა შეგრჩენია. ჩემი შვილივით ტუტუცი არა ყოფილხარ: აფერუმ!

ალექ. კი მითხრეს ამხანაგებმა, ნუ მოერიდებიო შენ ბატონსა და ტყავი გააძვერიო. ვერაფერსაც ვერ გიზამსო, ეხლა ძალა ჩვენ ხელშიაო, მაგრამ ვიფიქრე რომ ბატონებს რო ტყავი ავაძროთ და მიწასთან გავასწოროთ, პურა ვილა გვაჭმევს მეთქი და გედვიფიქრე.

დუარ. ეხ, ჩემო ალექსი! ეგენი გატუტუცებენ. მაგათი აშენებული ქვეყანა არ იქნება ნაყოფიერი, დიდ ხანს ვერ გასტანს: მოგიმატებ თუმანს და იყავი შენთვის, ნუ უგდებ მაგათ ყურს, თუკი ეგენი გვაბრალებდენ, რომ ღარიბ ხალხს სცარცვავდითო, ეხლა მაგათ რაღა ღმერთი გაუწყრათ, ეხლა მაგენი არიან მცარცველნი. გადაამეტეს, ნამეტანი გადაამე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტეს, ჩაამლაშეს რევოლიუციაც და ყველაფერი! (ალექსი ჰკიდებს კედელზე მარქსის სურათს.) ეგ ვინ არის ბიჭო? სურამელ ურიას, რომ მიუგავს წვერი?

ალექს. ეს, ბატონო, აგრე გადმოგცეს რომ ცოციალების ხელმწიფე იყოო. დიდი ჭკუის კაცი ყოფილა. მაქსიმე რქმევია თურმე

ლუარ. დიდი ჩკვიანი ეშველოს ძაგას, ქვეყანა მაგათვე დააქციეს. ჩვენი ხელმწიფის სურათი რაღა უყავი ბიჭო?

ალექს. სამზარეულოში გდია ბატონო, ნაგვის იაშჩიკში.

ლუარ. მერე ის ოხერი კონტრ-რევოლიუცია თუ რაცხა; ერთიც ვნახოთ დაბრუნდა ძველი დრო; მერე რა ვუყო ჰა? წადი, წადი მოიტანე ჩვენი გახუნებულ ნიკოლოზის სურათი; თავსლაფი დავასხი მე მას, ვერ მოიხმარა ტუტუცმა ამოდენა სახელმწიფო, იმისგულისთვის აირია მონასტერი! (ალექსას მოაქვს მტვრიანი ნიკოლოზის სურათი.) გვერდით დაკიდე ბიჭო, გვერდით აი ეგრე!

ალექს. ცოტა დაბლა დავკიდო ბატონო, თორემ მაქსიმე ეხლა უფრო მაღლა დგას.

ლუარ. კარგი, ორივე ჯანდაბას წასულან! ოღონდ ჩამოკიდე და გინდა ყირამალაცდაკიდე. აი აგრე ახლა აღარც ახალი გამიჯავრდება და აღარც ძველი. ორივე ხელმწიფის სურათი მაქვს.

ალექს. (შემოდის) ბატონო ვიღაცა გიახლათ, ვებერთელა პაპკა უჭირავს ხელში.

ლუარ. ახალი მოდის პრისტავი ხომ არ არის, ის ჩემი ცოდვნით სავსე?

ალექს. არ ვიცი ბატონო, ეგრე კი მოგახსენათ, თქვენ ბატონთან ძალიან საჭირო საქმე მააქვსო.

ლუარს. წადი თხოვე, (შემოდის ადმწერი ქალი. პაპკით)

ადმწერი ქალი— სალამი ამხანაგს!

ლუარ. დიდად სასიამოვნო ბატონო, თქვენი ნახვა და გაცნობა იქით ამხანაგოთ შვიდიშვიდად მეგუთნის და სადაური ამხანაგა ვარ! ადმწ ქალს დაბრძანდით ბატონო! ერთი მიბრძანეთ რისთვის გასჯილხართ?

ადმ ქალი. მე თქვენ და თქვენი სახლობის ასაწერად გიახელით (ლუარსაბს ხელები გირს ეშვება და გულ შეწუხებული სავარძელზე არდება)

ლუარ. ვაიმე მიშველეთ ხალხნო! ასაწერა ოვიდნენ. სად მომასწრო იმ ოხერმა არუთუნოვმა? ოი ის ღმერთის გამყიდავი, ისა. დარეჯან! დარეჯან! (ადმ. ქალი იცინის.)

ადმ. ქალი არა ამხანაგო თქვენ ვერ მიუმიხვდით. საქალაქო არჩევნები ახლოვდება და იმიტომ არის საჭირო აწერა. რამდენი სული ხართ და შეგიძლიანთ თუ არა არჩევნებში მონაწილეობის მიღება?

ლუარ. მაშ შენ ახალ ფასონის პრისტავი არა ხარ?

ადმ ქალი არა სრულებითაც არა. ტყუილი შიში გაქვთ, თქვენ ვერ მიმ ხვდით.

ლუარ. ეგრე გეთქვა დალოცვილო, გული კინაღამ არ გამიხეთქე.

ადმ ქალი. აბა დაუძახეთ თქვენიანებს!

ლუარ. თამრო! დარეჯან! ალექსი! ბიჭო სადა ხართ, მოდით აქ, საქმეა! (შემოდიან დარეჯან და ალექსა. დარეჯანს ლეჩაქის მაგიერ შლიაპა ახურავს.) ვაა! დარეჯან! ეგ შენა ხარ ქალო? ეგ შლიაპა რა ამბავია?

დარეჯ. მარა შენმამზემ სულ ლეჩაქი უნდა მეხუროს? ეხლა ლეჩაქის დრო აღარ არის! მეც მოდას ავყევი, აბა შენ რომ ჩკვიანი ყოფილიყავი, მაგ ულვაშებს მოიპარსავდი! ხარის კუდივით, რომ გკიდია.

ადმ ქალი (ლუარსაბს) აბა თქვენი სახელი. გვარი.

ლუარ. ლუარსაბ რევაზისძე ყარანგოზიშვილი.

ადმ ქალი. რამდენი წლის ბრძანდებით?

ლუარ. სამოცდახუთის.

ადმ ქალი. ნამდვილათ ამბობთ? ხომ კარგათ გახსოვთ წლოვანობა? აბა მეტრიკა მიჩვენეთ?

ლუარ. მეტრიკაო? რა ვიცი მეტრიკა სადა მაქვს? მამა ჩემა საიქიოს თან წაიღო და საიდან მოგიტანოთ?

ადმ ქალი. სასალდათო ხომ არა ხართ?

ლუარ. ეხ დალოცვილო, რა დროს ჩემი სალდათობაა ცალი ფეხი სამარეში მიდგას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადმ ქალი (სწერავს.) რა სქესს ეკუთვნით?

დუარ. როგორ თუ რა სქესს?

ადმ ქალი. ესე იგი მამა კაცი თუ ქალი?

დუარ. დალოცვილო, აბა რა დროს ხუ-
რობაა!

ადმ ქალი. მე სერიოზულად გკითხავთ,
ქალი ხართ თუ კაცი?

დუარ. დალოცვილო, განა ვერ ხედავ,
რომ კაცი ვარ? განა არ მაცვია? ხომ არ ჩა-
ვიხდი შარვალს? თუ კი ხედავ დალოცვილო,
რაღას მკითხავ?

ადმ ქალი. არა რასაკვირველია ვხედავ
კაცი რომ ბრძანდებით, მაგრამ ამ ასაწერ ქა-
ღალდში კითხვაა ამნაირი დასმული და
იმიტომაც შეგეკითხეთ. ერთი კითხვა კიდევ,
აუცილებლივ საჭიროა ვიცოდეთ ჭკუით ავა-
ტყოფი ხომ არავინა გყავთ ან სამართალშია
ვინმე მიცემული?

დუარ. სამართალში მიცემული კი არავინ
არის და რაც შეეხება პირველ კითხვას, უნდა
მოგახსენოთ, რომ ჩემს გარდა, ყველა გიჟები
არიან.

დარეჯ. უი ქა! გიჟი შენა თვითონ, დახე
როგორ გაუიდა თავი ამ ბებერს?

დუარ. გიჟი როგორ არ არის ბატონო,
ქალი სამოციწლისაა და შლიაპას იხურავს.

ადმ ქალი. (მგრძნობიარეთ) რატომ ექიმს არ
აჩვენებთ თქვენ ავადმყოფებს ან საავადმყოფ-
ოში არ დააწვენთ?

დარეჯ. საავადმყოფოში თქვენ თითონა
ხართ დასაწვენი, დახეთ გეთაყვათ, მასხარით
როგორ გვიგდებენ? ამისთვის მეძახდით? აი
მეხიკი დაგაყარეთ ორივეს ჰა? წავიდე ჩემ ქა-
ლს დაუძახო, ის გიჩვენებთ სეირს. (მიდის გა-
ჯავრებული.)

ადმ ქალი (გაკვირვებული.) მაშ თქვენ
ამტკიცებთ, რომ სრული ჭკუის მყოფი არავინ
არ არის ამ სახლში?

დუარ. ვამტკიცებ კი არა, შემოგფიცავ
ყველა ხატზე, რომ გიჟების მეტი არავინ არ
არის ამ სახლში. მე კი ვერავის ვერ ვცნობ
ჩემიანს, რაც რომ რევოლიუცია დაიწყო, მა-
გათ ტვინშიაც მოხდა ამბოხება.

ადმ ქალი. მაშასადამე თქვენს გარდა არ-
ვის არ შეუძლიან არჩევნებში მონაწილეობის
მიღება. ნახვამდის! (მიდის. შემოდის ალექსი)

ალექ. ბატონო გრიგოლ დანინ, მენავთე გე-
ხლით, ნავთი მოიტანა..

დუარ. აიღე ერთი სამი ფუთი მაინც, და-
გვჭირდება.

ალექ ამდენს არ იძლევა ბატონო, ნახევა-
რი გირვანქის მეტი არ შეიძლებაო, ბევრნი
თხოულობენო!

დუარ. მოდი ხალხნო და ნუ გაგიჟდები!
საგიჟეთში ავტომობილით უნდა წახვიდე, რომ
არ დაგიგვიანდეს. რა დროებაა, ვახ, რა
დროებაა და! (შემოდის, ალექსი ადიკალონის შუ-
შები უკავია ხელში.)

ეგ რა არის ბიჭო?

ალექ. ამაში უნდა ჩავასხა ნავთი, თორემ
დიდი ჭურჭელიც არ ივარგებს მაინც. (მიდის
და შემდეგ ისევ შემოდის.) ბატონო ვიღაცა გე-
ახლათ. გთხოულობთ, ცოცხალი ვარო!

დუარ. ახლა მაგას რაღა უნდა ჩემგან.

ალექს არ ვიცი ბატონო, ავრე კი მოგა-
ხსენათ, ძაან საჭირო საქმე მაქვსო.

დუარ. ბოლშევიკი ხომ არ არის?

ალექ. არა ბატონო, მაგი ვიკითხე, მე
მეშინია მეც მაგების, მაგრამ აგრე მოგახსენა,
უმცირესი გახლავარო.

(შემდეგი იქნება)

სგ. წერეთელი

***

თითქოს ამაო არის სიცოცხლე,
მოლხენა ცრემლებს დაუფარია,
შავების ალაგას, ტანჯვა-წამებას
გული სევდებით დაუღარია!

დროა გაირღვეს ეკლისა ლობე,
მზის სხივი მსურის სიცოხლის მჩენი:
ვცხოვრობ, სიცოცხლეს არა აქვს მადლი
ველი მეღირსა სიამის დღენი.

შურს არ ვიძიებ და ნურცა მკითხავთ
თუ სიდანა მაქვს გული დაგული.
გთხოვთ ან მაღირსოთ სიცოცხლე მტკბარი,
ანუ ჩააქროთ ტანჯული სული.

სიში

ეროვნული ბიბლიოთეკა



**სედრაქ თარაიანცს**

სომეხთა მწერალი ფილოსოფოსი
გარდაცვალებიდან წლის თავის შესრ. გამო

მტერი იყავ მაშვრალთ მტრების,
მტერი იყავ ხალხთ მონობის.—
შენ იყავი მოციქული
ძმობისა და თანსწორობის...

შენ გინდოდა ყველასათვის
მზეს სხივები მოეფინა...
მაგრამ ჩემო არ დაგცალდა
და მოგეცა სულეთს ბინა...
სულით წმინდას გწამდა ზეცა,
სიცოცხლე და ნეტარება,—
მაგრამ შენ ეს არ მოგეცა.

გ. კვაცხუთელი.

# ორი შემოდგომა

**სომხურიდან,—გრ. გრიგორიანისა** *)

სცვივოდნენ: ხმელი, ფხვნილი ფოთლები, ნაზათ, რყევით, სცვივოდნენ ერთი მეორეზე ცივ-გაყინულ დედა მიწაზე. სცვივოდნენ და ჩუმად სწყევლიდნენ თავიანთ სიცოცხლეს, რომელიც ისე მოკლე მოკლე იყო, რომ მათ ვეღარ-კი იგემეს ქვეყნის სიატკბილობა.

ტყე ტიტვლდებოდა... შემოდგომა იყო, ცივი, მაგარი შემოდგომა, ... მთელს ტყეში რაღა-ც ყრუ შრიალი ისმოდა... ტყე კვდებოდა... ტყე გედის სიმღერას მღეროდა; სიკვდილის სიცივე ახლოვდებოდა, რათა დაემარხა რაც რამდენიმე ხნისწინეთ სცოცხლობდა, სუნთქავდა და შეჰხაროდა მზეს, რომელიც ეხლა თავის უკანასკნელ ფეთქვის დაღონებული ხმით მღეროდა: შავ საზარელ სიმღერას!

დუმდებოდა, სწყდებოდა, ვითარცა უზეთო კანდელის სინათლე

და ამ მომაკვდავ ტყეში მოვიდა ერთი კაცი, მთლად გათეთრებული მათხოვარა, თავისი ძველი, დაგლეჯილი დიდი აბგით, რომელიც მხარზე ჰქონდა გადაკიდებული. მოვიდა მძიმე ნაბიჯით ჯოხზე დაყრდნობილი, თავჩაღუნული, ჩაღრმავებული თვალებით, რომელიც დედა-მიწისთვის გაეშტერებინა, თითქოს რამეს ეძებსო.

მოვიდა, დიდ მუხის ქვეშ დაჯდა, ღრმათ ამოისუნთქა და გადმოიღო აბგა მხრიდგან

საბრალო, უღონო მოხუცო, ბედის ობოლო შვილო, მთელ დღე ხელებ-გაშვერობილი უგულო ბოროტ ხალხის კარ და კარ დაიარები, ერთ ნაჭერ პურს თხოულობ. მწარეა შენი სიცოცხლე განდევნილო მოხუცო. ტყეში მოსდიხარ პურის საჭმელად, თითქოს ნება არა გქონდეს სხვებთან ერთად ისადილო, მათსავით იცხოვრო, იმათთან ერთად ისუნთქო.

და მან ამოიღო თავის აბგიდან კეთილი ხალხისგან ნაწყალობები პური, რომელსაც დაუწყო ღრღნა თავის ძალმილეულ კბილებით. ის დაღლილ დაქანცული იყო, ის მშიერი იყო. დიახ, ის მშიერი იყო, ყოველთვის მშიერი. კეთილი ხალხის ნასუფრალი ვერ აძღობდა მას ნასუფრალი იგი ხმელი იყო, ამიტომ ის ყოველთვის მშიერი იყო.

„საბრალო, საცოდავო მოხუცო!"

დარდი და მწუხარება თამაშობდა მის სახეზე. დიდი, უდიდესი მწუხარება, რომელიც კაცს არარად აქცევს, გულსა და სულს უჭამს. ჭმუჭნის კაცსა. სიკვდილის ქარი კი ქროდა და ათამაშებდა ხმელ ფოთლებს, რომლებიც სცვივოდნენ მოხუცის გათეთრებულ თავზე, მოხრილ წელზე და მხრებზე ის კი თავის უღონო ღრძილებით განაგრძობდა „კეთილი". ხალხის მოცემულ ხმელ პურის ჰრების ღრღნას.

ღრღნიდა მოხუცი ხმელ პურს და აქანებდა თავის გათეთრებულ თავსა. ბუნება კი მის გარშემო მგლოვობდა, მაგრამ მოხუცი აქეთ-იქით არ იხედებოდა.

ვინ იცის რა მწარე-მძიმე ფიქრებს დაებანდებინა მისი დარდით გამხმარი ტვინი.

„— საცოდავო, საბრალო მოხუცო, გამხმარო ფოთოლო, შენი შემოდგომაც მოახლოვებულა; თავის დაღვრემილი სუნთქვით. მაგრამ

*) გრ. გრიგორიანი სომეხთა ახალგაზდა მწერალია, რომელიც სთარგმნის ქართველ ახალგაზდა მგოსანთა ლექსებს და აზრათ აქვს, რომ სომხის ინტელიგენციას გააცნოს ქართველი ახალგაზდა მწერლები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენ მაგაზე არ ფიქრობ, უჩუმრად, ტანჯვით ღრღნი ხმელ პურს, რომ ძალა გქონდეს, რათა განაგრძო შენი ძაღლური ცხოვრება.

შენ არა ფიქრობ, რომ ხელ-ახლა ხელებ გაპყრობილი კიდევ უნდა ჩავარდე კარ და კარ, დადნე სირცხვილით, გაცვდე!

და ის განაგრძობდა კეთილ ხალხის ნაწყალობევის ღრღნას, თან ქაქანებდა...

ფოთლები კი სცვიოდნენ იდუმალი წყვლით და მოხუცს თან- და- თან ფარავდნენ თავიანთ უსუნთქო ფურცლებით!

ვ. სიდამონი.

# ლეგა ქალაქი.

ჰოი, ქალაქო, ლეგა ქალაქო, შე ნისლიანო;
ხავსის ჭაობო, მოლუშულო და სისხლიანო.

მეფე-დიდებავ! შლისელბურგო!—ციხე-სამარევ,
„კარო ევროპის", მარად შფოთის ბეშაო მხარევ.

მაღლა აჭრილი პეტრეს ძეგლი ცხენზე მჯდომარე
რომელიც არ სცნობს თანასწორად არვის თვის გარე,

ეს ხომ თვით შენ ხარ ჯმუხი, ქუსლ სქელ-ნალ-დეზიანი
და რაინდ ერთა სასიცოცხლო სულის ზიანი?

ნევა რომ ღელავს შენს კალთაზე—ცრემლია ხალხის,
თავისუფლების წმინდა მსხვერპლთა, ნაგვემ-ნათალხის,

დიდსა სივრცეზე მბრძანებლობდი — ყველა გმონებდა,
ორთავე ორბის ცეცხლის ბრჭყალებში დიდხანს ჰგოდებდა.

და მიტომ გფლობს დღე უმზეო, ბურუსი, ჯანყი,
რომ ხალხი შენი შენ დასცინე, შენით ნაჯანყი.

აჰა, ძლივს იშვა ცივ ღრუბლებში მნათობთა გუნდი,
და დაამსხვრია ოქროს კერპი... დალეწა ხუნდი...

მაგრამა მაინც ვერა ჰნათობს — სდის სისხლი ღვარად
და წითელ ტბებში მიჰყავს გმირნი დასასამარად.

აიქეც ბარემ! რომ შემდგომად იქნებ იდაროს,
და ძველ ნანგრევზე ახალმა მზემ მაინც იხაროს!..

ს. ერთაწმინდელი

## ლალი

რაც შენ წახვედი მთლად დავკარგე სულის სიმშვიდე,
რაც შენ წახვედი ვსტირი, მოვსთქვამ ობლად მავალი;
ჩემს ლალ ოცნებას გადაეკრა შავ-ბნელი რიდე, —
ოჰ! დამიბრუნდი, დამიბრუნდი, ლამაზო ლალი!..

დაჭლექდა სული... ენკენისთვის დღეს ვემსგავსები...
სევდით სავსეა ჩემი აწმყო და მომავალი...
ოჰ! დამიბრუნდი, დამიბრუნდი, გემუდარები, —
მე შენს გარეშე არვინ მივის, ძვირფასო ლალი!..

გ. ძიძაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დაკარგული სიყვარული

წერილი მირჩელი

ღმერთო ჩემო!.. თუმცა ძნელია, მაგრამ მაინც ვიღებ კალამს წერილის მოსაწერად; ვინ იცის იქმნება უკანასკნელადაც...

ომიტევე... მომიტევე, მაგრამ გამიგონე!. როგორ დაეცი ძირს... როგორ დაკარგე ზნეობრივი ცხოვრების ნიშანწყალი, რა სისაძაგლემდე მიიყვანე შენი თავი, როგორ ხელად უვარდები მეძავ, თავიანთი თავით მოვაჭრე ქალებს ხელში...

ოჰ! რავდენი ცუდი რამ მესმოდა და მესმის შენზე...

შენ იმასაც არა კმარხარ, რომ ყოველ ღამე მღალატობ, შენ ვიღაცა გრაფის გარყვნილი ქვრივის ხარჯზედაც — კი იმყოფები და იმის ალერსს ჩემსას ამჯობინებ. ჩემო დამღუპველო, სულთამხუთავო...

შენ ჩემი დაღუპვაც არ იკმარე.., შენ ეხლა ფურთხს უგზავნი მომაკვდავს მსხვერპლსა და სიცილითა და მასხრობით ფეხქვეშა სთელავ.

მე უკვე კარგად გაგიცანი...

შენ ობობა ხარ, რომელიც თავის მსხვერპლს გამოსწუწნის, მერე კი გამოფიტებულს გვამს თავს მიანებებს.

რად მოგენდე... რად?!. რად შეგიყვარე?..

გაიგე, რომ მე ეხლაც კი მზადა ვარ მოგეხვიო და დაუსრულებლივ გკოცნო.

მე ასე მიყვარხარ... მაგრამ, შენ?

აგერ უკვე ორი თვეა შენთვის თვალი არ მომიკრავს...

მე შენი საათი ნაშუალამევის სამზე დავაყენე...

გახსოვს ნაშუალამევის სამი საათი?.. რა თქმა უნდა დაგავიწყდებოდა ახლა მეგობართა შორის...

რად იქცევი ასე საძაგლად... რადა სჩადიხარ ყველა ამას... მე დაჯერებაც კი არ შემეძლო, რომ შენც ისეთი ხარ, როგორც სხვანი...

მე შენზედ ვლოცულობდი, ჩემო საყვარელო... ჩემო ძვირფასო..

მაგრამ რა ჩემო სალოცავო ხატო...

გესმის, ჩემო სალოცავო ხატო, უბრალო მდებრის დაჯლაბნილო...

ქვეწარმავალო ადამის სახით...

ოჰ, ღმერთო! ვინ იცის იმ როსკიპთ უამბობ ხოლმე, რომ მე ერთს დროს შენ გეკუთვნოდი და ვიცი დარწმუნებით, რომ შენ იმათ მოუთხრობ შენს თავგარასავალს სრულიად აუღელვებლივ, რომ შენ უკვე შეიქმენი რომანის გმირად...

მიმატყუე, მომპარე ის, რითაც თავი მომქონდა, ვამაყობდი. უხეშად ფეხქვეშ გასრისე და მერე კი შორიდან სიცილი დაუყარე...

მე ამ წერილს იმიტომ კი არა გწერ, რომ ჩემი სიკვდილის შემდგომ, შენს საკუჭნაოში დარჩეს სიმბოლოდ ჩემის დამარცხებისა...

ახ! მაგრამ, მე აკი დაგითხოვე შენი სისაძაგლის გამო, მაგრამ ისევ... ისევ... და...

შენ ვერასოდეს ვერ გაიგებ.. ვერასოდეს...

სულ ერთია, დამიბრუნდი!.. მოდი ჩემთან... ნუთუ არ მოხვალ?..

არა, მოდი, მოდი ჩემო, მალხაზო, ჩემო საყვარელო...

შენ მოხვალ და მე ყველაფერს გადავივიწყებ

შენ მოხვალ და მე ისევ ისე... უფრო ძალიან შეგიყვარებ...

მე უწინდებურ გიალერსებ... მუდამ გიმღერ შენს საყვარელს რომანსს...

მე ეხლაც კი თვალწინ მიდგა ის ღამე, როდესაც ტბაზე ნავით დავცურავდით...

მოიგონე რასა მპირდებოდი მაშინ...

დამიბრუნდი, ოღონდ ჩქარა...

ოჰ, როგორ ჩაგიკოცნი თვალებს... არ მოგეწონება, ჰკვიანად დავჯდები და, დაუსრულებლივ მოგისმენ...

მაგრამ, შენრო გაჯიუტდე და არ მოხვიდე?

(დასასრ. იქნება)

ა. ნიჟარაძე

# შარადა

ქორონიკონზე, მკითხველო,
თუ კი ბრძანდები მწყრალადა,
გაგიჭირდება, რომ ახსნა
ეს სადღეისო შარადა.
თუ იცი ქორონიკონით
დასწერე ასო ერთია,
და ეს იქნება შარადის
სახელის შემაერთია.

შემდეგ მონახეთ სამოსი,
ქალების სამკაულია,
ზოგს დარიბულად აცვია,
ზოგისა-კი მდიდრულია.
შუა გასჭერით, პირველი
მაჩუქეთ, გეთაყვანები,
მგებ შარადა შევთხუზო,
ცოტათი მისამგვანები.
ეხლა გვჭირდება სახელი
პატრიარქ-კათალიკოსის,
რჩეული ჩვენი დროისა
სრულიად საქართველოსის.
წინიდან ორი ანბანი
ამ სახელისა გვჭირია,
და გამოგვივა შარადით
ისეთი ვინმე პირია
ვინც ბეჩავ ხალხის სიმწარეს
იგრძნობს და ინაწილებსა,
ვინც ძველ მთავრობას ძირს უთხრის
ისე ვით ჭია კბილებსა.
სახელი აწ გაგვითავდა.
გვარზე დაგვიდგა ჯერია.
ქორონიკონით ათასი
აქ კიდევ დასაწერია.
ეხლა მონახეთ პირ-უტყვი
საჯდომად გასართობელი,
ოჯახში გამოსადეგი,
დაუზოგავი მშრომელი.
ხუთ ანბანისგან შესდგება,
მკითხველო, მისი სახელი
ამათში ჩვენ არ გვჭირდება
არც ბოლო, არცა პირველი
სამი ანბანი, რაც დაგვრჩა,
შუაში გამომწყვდეული,
შარადისათვის იქნება
ჩემგან ის ამორჩეული.
შემდეგ ახსენეთ სალექი,
კბილების გასართობელი
გამწმენდი გამთეთრებელი,
მისიც ბევრია მთხრობელი.
ოთხ ანბანისგან შესდგება,
რომელსაც ლექავთ რბილია.
წინიდან ორი ანბანი
შარდისათვის მჭირია.
აწ მოიგონეთ ფხვიერი
თვალად მოლურჯო ფერია,
სარეცხის სისპეტაკისთვის
სახმარად მშვენიერია.
სახელი შუა გასჭერით,
პირველისა ვარ მთხოვნელი,
შარადაც გაგვითავდება,
თქვენ სთქვით იქნება რომელი?

ვარდენ ყიფიანი.

## ხუმლად

რავქნა, კაცო, ე ჩვენებიანთ გიგუა რატო ეგრე სხვანაირათ ლაპარაკობს: ეგეც ხომ არ გადაირია, ღმერთი არ გაუწყრა და არ მიუდგა ანტონობიის მომხრეებსა: წინად ძაან თავს იკლამდა იმ ავტონობიაზე. ი ერთი ხანობა კინაღამ შაქრუა მოგვაკვლევინა. ანტონობია უნდა, დაგლუპავთო, ახლა კი თითონვე დაგვდგომია და გვეუბნება: ანტონობია ჯორდანიამაც მიიღო, ძალიან კარგიაო.

აბა, შვილო, მოდი და სწორეს ნუ იტყვი მართალია მე შაქროას მადლობელი არა ვარ, მაგრამ მაინც მინდა სიმართლე ვსთქვა: თუ შაქროას ანტონობია ბატონ-ყმობა იყო და დაგვღუპავდა, გიგუას ანტონობია კი აგვაშენებს? მაგრამ რას ვიზამთ ჩვენი უწავლელობით მუდამ უკანა ვდგევართ და ყურ-მოჭრილი მონებივით, საითაც ხელს გაგვიშვერენ, იქით გავრბივართ.

ეჰ, მაინც მადლობა ღმერთს: იქნება ახლა მაინც გვეღირსოს ჩვენი ქვეყნის ნამდვილი ერთობა!

მუშა ზაქარია ზემო ხანდაკელი.

## წვრილი ამბები

**დროებით ზავის** შესახებ ოსმალეთის ჯარის მთავარ სარდალმა წინადადება მისცა კავკასიის ჯარის სარდალს. ამიერ—კავკასიის მთავრობამ მიიღო წინადადება და მოლაპარაკებაც გამართა.

**საქართველოს ეროვნული ყრილობა,** ადფთოვანებით დაიწყო, ერთსულოვანად დასრულდა, არჩეულ იქნა ეროვნული საბჭო, სადაც მოყვნენ ყველა ქართ. პოლიტიკურ პარტიების წარმომადგენლები. აღნიშნულ საბჭოს დაევალა მოიწვიოს საქართველოს დამფუძნებელი კრება. აღსანიშნავია, რომ ყრილობამ ეროვნულ **საკითხში ყველა პოლიტიკური პარტიები გააერთიანა.**

**რუსეთში მეუმრავლესენი** თან და თან ფეხს იკიდებენ, მოჰკლეს მთავარსარდალი დუხონინი.

**ამიერკავკასიის არჩევნებში** გაიმარჯვეს სოციალდემოკრატ მეუმცირესებმა. განზრახვაა, თუ რუსეთში დამფუძნებელი კრება არ შესდგა, ამიერ კავკასიაში შესდგება სეიმი, სადაც შევლენ არჩეული დეპუტატები

**ქართულ კლუბში** გიორგობისთვის 24 ქართულ. დრამ. დასმა დასდგა ახალი ორიგინალური პიესა „არამზადები“. პიესა შინაარსიანია, ჩვენ ცხოვრებიდან. მსახიობებმა დირსეულად ჩაატარე პიესა. სასურველია ასეთი შესაფერისი პიესები ხშირად იდგმებოდეს. წარმოდგენის შემდეგ ქართული დასი მიესალმა სტუმრებს-დელეგატებს. შალვა დადიანმა ს ხარტულა და შვენიერი სიტყვით მიმართა დელეგატებს. ს. ფაშალიშვილმა წარმოსთქვა დექსი. ი. ირემაშვილის ბავშვებმა იმღერეს.

**ქართველ მომღერალ-მუსიკოსთა კავშირთან** შესდგა გუნდი ას კაცამდი. მოწვეული არიან საუკეთესო ლოტბარნი. აღნიშნული გუნდი მონ დეობას მიიღებს კავშირის მიერ გამართულ კონცერტებსა და ოპერებში. გუნდში მიღება გრძელდება. ჩაწერა შეიძლება ყოველ-დღე ქვაშვეთის ეკლესიაში მღ. ერ ფხალაძესთან 6 საათამდე კავშირი ქრისტეშობისთვის 17 ქართულ კლუ- თავს დიდ საერო სასულიერო კონცერტს

მოწვეულნი არიან საუკეთესო ძალები.

ეროვნული სასჯოსთან არსდება ხელოვნების სექცია.

ეროვნულ სჯოს პირველი კრება გაიმართა გიორგობის 26 არჩეული იქმნა აღმასრულებელი კომიტ 15 კაცისაგან შემდგარი: ს.-დ. მენშევიკები ჟორდანია, ა. ჩხენკელი, ს. ჯიბლაძე, შ. რა გილი, კ. გვარჯალაძე, ა. ლომთათიძე, ჭაიდარბეგ აბაშიძე, პავლე საყვარელიძე „ალიონელი“; ნაციონალ დემოკრატები: გრიგოლ ვეშაპიძე, გიორგი გვაზავა სოც. ფედერ: გ. რცხილაძე, ი. გედევანიშვილი; ს. რევოლიუციონერები: ვ. გობეჩია, კ. მესხი; სამაჰ ადიანო საქართველო: მამედბეგ აბაშიძე.

**მუშა მიხა დევაძემ** დაწერა „საუბარი მუშასთან წერილები სოციოლოგიიდან მდაბიურად წერილები ჯერ ჩვენს ჟურნალ. დაიბეჭდება მერე ცალკეწიგნად.

**„ხალხის თავისუფლების“** სარედაქ. კოლეგია სთხოვს ამხანაგ თანამშრომელთა და თანამგრძნობელთ მობრძანდნენ რედაქციაში მიმდინარე საქმეებზე მოსალაპარაკებლად, პარასკევს 16 ქრისტეშობისთვეს საღამოს 6

---

ქართველ ქალთა გაზეთის სასარგებლოთ დარია ახვლედიანისამ ქართულ კლუბში ქრისტეშობის 7 გამართა საღამო.

„თეატრი და ცხოვრება“-ს შემოსწირა:

ექ. ილია დიმ. ბექთაბეგიშვილმა 25 მან.

შემომწირველს გულითად მადლობას ვუძღვნით.

რედ.

---

## გაუმარჯოს თავისუფალ ხელოვნებას თავისუფალ საქართველოში!

მიიღება ხელის მოწერა 1918 წლისთვის

ერთად ერთ სათეატრო, სახელოვნო, სამხატვრო, ს მუსიკო სამწიგნობრო საზოგადოებრივ შინაარსის პროგრესიულ-დემოკრატიულ უპარტიო სურათებიან იუმორისტულ განყოფ. ჟურნალ

# „თეატრი და ცხოვრება“ზე

**წელიწადი მეექვსე გამოცემის**

1918 გამოვა იმავე პროგრამით, როგორც გასულ ხუთი წლის განმავლობაში ცნობილ და საუკეთესო თანამშრომელთა მონაწილეობით

**ჟურნალი ღირს:** წლიურად 15 მან, ნახევარ წლით 9 მ. რომლის გარდახდა ნაწილნაწილდაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს 10 მ. აპრილის დამლევს 3 მ, დანარჩენიც მარიამობის გასულს.

**ხელის მოწერა შეიძლება** თბილისში რედაქციაში (ალექს ბაღის პირდაპირ, ძველ მეწიგნეთა რიგზე, ხაზინის თავში, ბაზრის ქუჩა სახლი არჯევან 20)

ფოსტით: თბილისი, რედაქცია „თეატრი ა“ იოსებ იმედაშვილს.

**შენიშვნა:** ჟურნალის გაწერვის მსურველთ ვთხოვთ დროით დაიკვეთონ, რო მისამართების ბეჭდვა მოვასწროთ. ძველმა ხელის მომწერლებმა ძველი მისამართის ნომერი გვაცნობონ,

რედაქტორ გამომცემელი **იოსებ იმედაშვილი**

---

# ქართული კლუბი

**1 კვირის პროგრამმა**

კვირა—საღამო წარმოდგენა.

ორშაბათი—ოპერა. მუსიკა

სამშაბათი—საოჯახო საღამო

ოთხშაბ.—სინემოტოგრაფ. სიმებ. ორკ.

ხუთშაბ.—ქართ. წარმოდგენა. მუსიკა

პარასკ.—ოპერა.

შაბ.—საოჯახო საღამო

ვირა რუსული—წარმოდგენა.

---

რედაქტორ-გამომცემელი **იოსებ იმედაშვილი**